აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 11

04/10/2018 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო
კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის ა4 (210X297მმ) ფორმატის, თაბახის ფურცელი. დამკვირვებლის პოზიციიდან ფურცელის ზედა მარცხენა ნაწილში გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი, ხოლო მარჯვენა მხარეს გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, გერბებს შორის ბლანკის შუა ნაწილში მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო და ინგლისურ ენაზე, გერბებსა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია ფირუზის ფერის 2 მმ სიმაღლის ხაზი 18 სმ სიგრძის, ხაზის ქვემოთ ბლანკის მარცხენა ნაწილში მითითებულია ინდექსისა და რიგითობის ნომერი, გამოცემის რიცხვი, თვე და წელი. ფურცლის ბოლოში, ბოლოდან 22 მმ ზევით გასმულია 18 სმ სიგრძის 2 მმ სიმაღლის ფირუზის ფერის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ინდექსი, ტელეფონის ნომერი, უსკოს ვებ-გვერდი და ელ-ფოსტის მისამართი, როგორც სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ბლანკს აქვს შემდეგი მინდვრის ზომები: ზედა - 20 მმ, მარჯვენა - 10 მმ, მარცხენა და ქვედა - 20 მმ.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულება.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი